ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

ლელა ქოროღლიშვილი

ახალგაზრდული პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოსა და ევროპაში

ნაშრომი შესრულებულია
სოციალური მუშაობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2023

სარჩევი

ანოტაცია

ახალგაზრდები წარმოადგენენ ქვეყნის ადამიანური კაპიტალის მთავარ განახლებად წყაროსა და მდგრადი განვითარების მამოძრავებელ ძალას. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ახალგაზრდებისთვის შექმნან განვითარებისათვის მხარდამჭერი გარემო, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის გაძილერების პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას, თითოეულის პოტენციალის სრულიად გამოყენებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ქართული და ევროპული ახალგზრდული სტრატეგიების ანალიზი. კვლევის მიზანია საქართველოში და ევროკავშირში არსებული სახელმწიფო ახალაგზრდული პოლიტიკის გააზრება სოციალური მუშაობის პერსპექტივიდან. აღნიშული მიზნის მისაღწევად კი დასახეულია ამოცანები, რაც გულისხმობს იმის გააზრებას თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ახაგაზრდული პოლიტიკა ევროკავშირის ახალგაზრდული პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითად პრინციპებს. ამას გარდა, ახალგაზრდების ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გაცნობას. და ბოლოს, სოციალური მუშაობის როლის შესწავლას ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებასა და საქართველოს ახალგაზრდების ძირითადი პრობლემების გადაჭრის საკითხში. ნაშრომი წარმოდგენს სამაგიდე კვლევას, რომელშიც წარმოდგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო რელევანტური ლიტერატურის ანალიზი. საზოგადოების ამ სეგმენტისთვის, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2020-პოლიტიკის კონცეფციას. ახალგაზრდებთან მუშაობა სოციალური მუშაობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. სოციალური მუშაობა ინოვაციური პროფესიაა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანთა კეთილდღეობასა და მათ გაძლიერებაზე. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა წვლილი, ვინაიდან სტრატეგიაში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, აუცილებელია იმ პროფესიული რესურსებისა და სპეციფიკური ცოდნის გამოყენება, რაც სფეროს წარმომადგენლებს გააჩნიათ. ნაშრომში გარდა ქართული კანონდმებლობისა და სტრატეგიული დოკუმენტებისა, განხილულია

ევროპული ახალგაზრდული ხედვა, სტრატეგია და სხვადასხვა რელევანტური კვლევები/სახელმწიფო დოკუმენტები. ევროკავშირის ახალგაზრდული კონცეფციის განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა, შეგვედარებინა საქართველოსა და ევროპაში მცხოვრები ახალაგზრდების გამოწვევები და მათი დაძლევის ეკისრებათ სოციალურ მუშაკებსა და ახალგაზრდულ მუშაკებს აღნიშული სტრატეგიის განხორციელებისას და როგორია ამ ორი საქმიანობის წარმომადგენელი პრაქტიკოსებისათვის თანამშრომლობა.

შესავალი

ახალგზარდები საზოგადობების მნიშნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. საქართველოში უკანასკნელი საყოველთაო აღწერის თანახმად, 15-29 წლის

ა

ხ

ა

ლ

გ

ა

ზ

რ

დ

ე

ბ

ი

ს

რ

ა

ო

დ

ე

თვითრეალიზებისთვის. ასევე, კონცეფცია მოიცავს შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ახალგაზრდები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის სრულყოფა ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე (საქართველოს პარლამენტი, 2020).

კვლევის მიზანია გავაანალიზოთ საქართველოსა და ევროპაში არსებული სახელმწიფო ახალაგზრდული პოლიტიკა და სოციალური მუშაობის როლი მის განხორციელებაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- შევისწავლოთ რამდენად შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ახაგაზრდული პოლიტიკა ევროკავშირის ახალგაზრდული პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითად პრინციპებს.
- ახალგაზრდების ძირითადი პრობლემები და გამოწვევები - ევროპასა და საქართველოში
- სოციალური მუშაობის როლი საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განხორცელებასა და ახალაგზრდების ძირითადი პრობლემების გადაჭრაში.

ნაშრომში გაანალიზებულია როგორც ქართული ახალგაზრდული სტრატეგია, ისე ევროკავშირის ახალგაზრდული კონცეფცია. შედარება გვეხმარება გავიაზროთ, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ახაგაზრდული პოლიტიკა ევროკავშირის ახალგაზრდული პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითად პრინციპებს. სამაგიდე კვლევაში გამოყენებულია საერთაშორისო და ადგილობრივი რელევანტური კვლევები და ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ევროპული ახალგაზრდული სტრატეგია

ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია არის ახალგაზრდული პოლიტიკის გამტარებელი 2019-2027 წლებში, რომელიც ეფუძნება ევროსაბჭოს 2018 წლის 26 ნოემბრის რეზოლუციას. ცნობილია, რომ 2017-2018 წლებში წარიმართა დიალოგი, რომელშიც ახალგაზრდები მონაწილეობდნენ მთელი ევროპიდან, შედეგად შემუშავდა 11 ევროპული ახალგაზრდული მიზანი. ეს მიზნები განსაზღვრავს სექტორთაშორის არსებულ იმ სფეროთა საქმიანობებს, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრებაზე. დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდების ხედვების რეალიზებას. ევროკავშირის ხედვა და პრინციპები ორიენტირებულია იმაზე, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს ახალგაზრდული პოლიტიკის პოტენციალი. ის ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას დემოკრატიულ ცხოვრებაში, მხარს უჭერს სოციალურ, სამოქალაქო ჩართულობას და უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისთვის საჭირო რესურსები. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია ორიენტირებულია მოქმედების სამ ძირითად მიმართულებაზე, რომელიც ერთიანდება სამი სიტყვის ირგვლივ, ესენია:

ჩართულობა -გულისხმობს ახალგაზრდების ჩართულობას დემოკრატიის პროცესში, **დაკავშირება** - ნიშნავს ახალგაზრდების გაერთიანებას ევროკავშირის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ, რათა ხელი შეუწყონ ნებაყოფლობით ჩართულობას, სასწავლო მობილურობას, სოლიდარობას და კულტურათაშორისი ურთიერთგაგებას, **გაძლიერება** - გულისხმობს ახალგაზრდების გაძლიერების მხარდაჭერას ახალგაზრდული მუშაობის ხარისხის, ინოვაციებისა და აღიარების გზით. ეს სამი საყრდენი გამოხატავს ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგიის მთავარი აქცენტებს (European Union, 2018).

სტრატეგია ახალგალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, რომ გახდნენ საკუთარი ცხოვრების არქიტექტორები, აიმაღლონ გამძლეობა და აღიჭურვონ ცხოვრებისეული უნარებით, ვინაიდან გაუმკლავდნენ ცვალებად და გამოწვევებით აღსავსე სამყაროს. ასევე, მნიშვნელოვანია მათი წახალისება, რათა გახდნენ აქტიური მოქალაქეები, სოლიდარობისა და პოზიტიური ცვლილებების აგენტები ევროპის საზოგადოებისთვის, რომელიც შთაგონებულია ევროკავშირის ღირებულებებითა და ევროპული იდენტობით. აღსანიშნავია, რომ დიდი ყურადღება ექცევა სოციალური გარიყურობის პრევენციის საკითხს (EUROPEAN

ქართული და ევროპული ახალგაზრდული სტრატეგიაბის თვალსაჩინო შედარებისთვის, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის 11 მიზანი, რომელიც გაწერილია ევროპულ დოკუმენტში:

ხარისხიანი დასაქმება ყველასათვის: მიზნად ისახავს ახალგაზრდებს ჰქონდეთ წვდომა ხარისხიან სამუშაოებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიან ხელფასს, სოციალურ დაცვას და კარიერის განვითარების შესაძლებლობებს.

ხარისხიანი განათლება და ტრენინგები: ეს მიზანი ფოკუსირებულია იმაზე, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის განათლებასა და ტრენინგებზე, რომელიც მათ მოამზადებს მუშაობის დაწყებისთვის, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლისათვის.

გენდერული თანასწორობა: მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციის აღმოფხვრას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ინკლუზიური საზოგადოებები: გულისხმობს იმას, რომ შეიქმნას ინკლუზიური საზოგადოებები, სადაც ყველას აქვს შესაძლებლობა სრულფასოვნად მონაწილეობის მიღებისა, მიუხედავად მათი წარმოშობისა და სხვადასხვა გარემოებებისა.

საინფორმაციო და კონსტრუქციული დიალოგი ახალგაზრდებსა და გადაწყვეტილების მიმღებებს შორის: მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდებსა და გადაწყვეტილების მიმღებებს შორის დიალოგის წარმართვას

ყველა დონეზე, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ თავიანთი სიტყვის თქმა იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა: ეს მიზანი ფოკუსირებულია ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაზე, მათ შორის პრევენციის, ადრეული ჩარევისა და დამხმარე სერვისების მეშვეობით.

სოციალური უფლებები და სერვისებზე ხელმისაწვდომობა: აღნიშული ორიენტირებულია უზრუნველყოს, რომ ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს ძირითადი სოციალური უფლებები, როგორიცაა ჯანდაცვა, საცხოვრებელი და სოციალური დაცვა.

მდგრადი მწვანე ევროპა: მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას გარემოს დაცვით, სათბურის გაზების ემისიების შემცირებით და განახლებადი ენერგიის წყაროების ხელშეწყობით.

ახალგაზრდების გაძლიერება და მონაწილეობა ევროპის დემოკრატიულ ცხოვრებაში: ეს მიზანი ფოკუსირებულია ახალგაზრდების გაძლიერებაზე, რათა სრულად მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ ცხოვრებაში სამოქალაქო ჩართულობის, პოლიტიკური მონაწილეობისა და მოხალისეობის ხელშეწყობის გზით.

ახალგაზრდული მეწარმეობისა და კრეატიულობის ხელშეწყობა: მიზნად ისახავს ახალგაზრდებში მეწარმეობის ხელშეწყობას დამწყებთათვის, ინოვაციების მხარდაჭერით, აგრეთვე შემოქმედებითობის ხელშეწყობა ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით და ა.შ.

ინკლუზიური თემები მიკუთვნებულობის გრძნობით: ეს საბოლოო მიზანი ორიენტირებულია შექმნას ინკლუზიური თემები, სადაც ყველა იგრძნობს კუთვნილების გრძნობას, მიუხედავად მათი წარმომავლობისა და სხვადასხვა გარემოებებისა (European Union, 2018).

ქართული ახალგაზრდული სტრატეგიის მიმოხილვა და ანალიზი

წელს, საქართველოს პარლამენტის მეირ დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი," რომლის განხორციელების შედეგად საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდების გაძლიერების მიმართულებით სახელმწიფოს სისტემურ მიდგომას (საქართველოს პარლამენტი, 2014). თუმცა, კვლევები აჩვენებენ, რომ ახალგაზრდები კვლავ დგანან უამრავი გამოწვევის წინაშე, რაც შეეხება ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, რესურსებისა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, დასაქმებას, განათლებას და სხვა შეეხება სხვადასხვა სექტორს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ამოცანაა ეფექტიანად მართოს ახალგაზრდული პოლიტიკა და კოოდინაცია გაუწიოს როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალიტეტების დონეებზე. ამ სექმენტში გამოვლენილი გამოწვევების უგულებელყოფა უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე როგორც ეკონომიკური, ისე უსაფრთხოებისა და დემოგრაფიული თვალსაზრისით. კანონით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისათვის, კანონი დამტკიცდა საქართველოს რეგლამენტის 132-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის თანახმად, რომლიც მთავრობას ავალდებულებს განახორციელოს სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებსა და მათი განხორციელებისთვის პასუხისმგებელი დაწესებულებებს. ასევე, მთავრობა ვალდებულია გაუწიოს საერთო კოორდინაცია სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის განხორციელებასა და მონიტორინგს, ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე. გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია 5 სტრატეგიული პრიორიტეტი და 22 მოსალოდნელი შედეგი. აღსანიშნავია, რომ კონცეფციის შემუშავებამდე გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში 300-მდე 19–29 წლის ახალგაზრდასთან. ამას გარდა, ელექტრონულად გამოიკითხა 1400-მდე 14–18 წლის მოზარდი, რომელთა შედეგებიც გათვალისწინებულია დოკუმენტში

კანონის სრულფასოვნად გააზრებისათვის, მნიშვნელოვანია სტრატეგიული პრიორიტეტებისა და მოსალოდნელი შედეგების მოკლე მიმოხილვა.

პირველი პუნქტი გახლავთ: „საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა“- აღნიშნული შეესაბამება გაეროს განვითარების მე-16 მიზანს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უნდა ორიენტირდეს ახალგაზრდების პასუხისმგებლობის მქონე და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისკენ, რაც შესაძლებელია ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით. აღნიშნული პუნქტის შესრულების შედეგად მიიღწევა 3 მიზანი, ესენია: გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა, მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისათვის.

რაც შეეხება მეორე პუნქტს, ეს გახლავთ ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, რომელიც შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზანს. არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახალგაზრდებს განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდებათ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების პროცესში. უნდა აღნიშნოს, რომ ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგიის (2019-2027) თანახმად, ხელშეწყობის ერთერთ მთავარ მექანიზმად ისახება არაფორმალური განათლება და მისი ხელმისაწვდომობა. ვინაიდან, აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით ახალგაზრდები ინტეგრირდებიან საზოგადობაში, ხდება მათი გაძლიერება, კომპეტენციებით აღჭურვა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანური და სოციალური კაპიტალი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და პიროვნული ზრდა. აღნიშნულის პუნქტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებიდან პირველი გახლავთ ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა და ამოქმედება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში ახალგაზრდული მუშაკის პროფესია აღიარებული არ არის, ამ პრობლემას კი

აღრმავებს პროფესიული სტანდარტის არ არსებობა. არ არსებობს ახალგაზრდული მუშაკის აკადემიური განათლების სასწავლო პროგრამები და პრაქტიკოსებისათვის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებიც მწირია. რაც თავისთავად აისახება მომსახურების მიწოდების ხარისხზე, ვინაიდან ის არ შეესაბამება სამუშაო ჯგუფის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქარველომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ვალდებულება აიღო ხელი შეუწყოს ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის განვითარებას და ამ მხრივ არსებული გამოწვევების გადაჭრას. რაც შეეხება მეორე მოსალოდნელ შედეგს, მის თანახმად, ხარისხიანი არაფორმალური განათლების შესაძლებლობები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხიან განხორციელებას/განვითარებას, სხვასხვა მონაწილე ჯგუფებთან ინფორმირებულობის დონის გაზრდას, მომსახურების მიმწოდებელი მექანიზმების განვითარებას, და ბოლოს, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრული საქმიანობის საზოგადოების ყველა ჯგუფის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. მესამე მოსალოდნელი შედეგი კი გახლავთ მობილობის აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა. გლობალიზაციის პროცესის პარალელურად იზრდება ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ გარეთ მობილობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა და სხვა. ამ კუთხით ხაზგასასმელია ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლისა და სხვადასვა პროგრამების, მნიშვნელობა. მათ შორის, როგორიცაა Erasmus Plus. თუმცა, კვლავ არსებობს დაბრკოლებები, რომლებიც განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებზე ვრცელდება. ეს შეიძლება იყოს ენის ბარიერი, გეოგრაფიული დისტანცია, ინფორმირებულობის დაბალი დონე და ფინანსური დაბრკოლებები. აღნიშნული პუნქტის თანახმად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ახალგაზრდების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ

ახალგაზრდების 95%-ს სტაბილურად მიუწვდება ხელი ინტერნეტზე, საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.

მესამე პუნქტი შეეხება ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ის შეესაბამება როგორც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიას, ისე გაეროს მდგრადი განვითარების მე-3, მე-5, მე-10 და მე-16 მიზნებს. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ოტავის ქარტიის მიხედვით, ეს პროცესი ადამიანებს ეხმარება გაიუმჯობესონ საკუთარი ჯანმრთელობა და მასზე კონტროლი. აღნიშნულის მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, პრევენციული ჩარევების დანერგვა. პირველი მოსალოდნელი შედეგია ახალგაზრების რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირება ქიმიური/ქცევითი დამოკიდებულების კუთხით, როგორიცაა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება. მეორე მოსალოდნელი შედეგია ახალგაზრდების ცნობიერების დონის გაზრდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. საქართველოში როგორც მოზარდებს, ისე ახალგაზრდებს ნაკლები ინფორმირება აქვთ რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების. ამ ვითარების გამოსასწორებლად მნიშვნელოვანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სახელმძღვანელოებში შესაბამისი საგნობრივი სტანდარტების სათანადოდ ასახვა. რაც შეეხება მესამე მოსალოდნელ შედეგს, ეს არის ბავშვთა/ადრეული ქორწინებისა და მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლის შემცირება, ვინაიდან ქვეყანაში ბავშვის ქორწინება კვლავ გენდერული ნიშით დისკრიმინაციის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ფორმად გვევლინება. გარდა სამართლებრივი ნორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა, აუცილებელია სტიგმის შემცველი პრაქტიკისა და მიდგომების აღმოფხვრის ხელშეწყობა. მეოთხე მოსალოდნელი შედეგი შეეხება ახალგაზრების ფსიქიკური განმრთელობის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ

აშლილობის 326 შემთხვევა 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო 432 შემთხვვევა ფსიქიკური ჯანმრთელობისკენ მიმართული ღონისძიებები არ ხორციელდება, ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იზრუნოს როგორც მეტი სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებაზე, ასევე, საჭირო სერვისების შექმნასა და გაუმჯობესებაზე.

მეხუთე მოსალოდნელი შედეგი გახლავთ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოფხვრა. კანონში აღნიშულია, რომ საზოგადოების ჯანმრთელობის თვალსაზრისით, მოზარდების მიმართ ძალადობას აქვს გრძელვადიანი შედეგები, რაც ეჭვგარეშეა, რომ ამცირებს მომავალი თაობის პროდუქტიულობასა და საფრთხეს უქმნის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: განათლება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ახალგაზრდები ხაზს უსვამენ ისეთ დისკრიმინაციის ფაქტებს, როგორიცაა დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაცია ასაკისა და სამუშაო გამოცდილების გამო. ასევე, იკვეთება ფიზიკური ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევის, სექსუალური ორიენტაციის, ნასამართლეობის, გენდერული ნიშნით ან/და შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციიის ფაქტებიც. ქვეყნის ახალგაზრდები დისკრიმინაციას ყველაზე ხშირად განიცდიან ეკონომიკური მდგომარეობისა (31%) და განათლების დაბალი დონის (24%) გამო. ამ მხრივ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ახალგაზრდებზე, რომლებიც იმყოფებიან არახელსაყრელ სოციალურ მდგომარეობაში, ვინაიდან, მათი ხელმისაწვდომობა რესურსებსა და შესაძლებლობებზე შედარებით ნაკლებია. ბოლო წლებში განსაკუთრებული აქტუალურობით სარგებლოს კიბერბულინგი, რაც გულისხმობს ინტერნეტის საშუალებით სიძულვილის ენის გამოყენებას, ადამიანის ჩაგვრას, დამცირებასა და სხვაგვარ შეურაცხყოფას. მეექვსე მოსალოდნელი შედეგი არის ახალგაზრდებისთვის რეკრეაციული ინფრასტრუქტურისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრების ფსიქოლოგიური და შემეცნებითი განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას.

ხარისხიანი ჰობი-ცენტრების, არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცეებისა და გასართობი ცენტრების სიმცირეა განსაკუთრებით სოფლებსა და რეგიონის ცენტრებში. ასევე, დაფიქსირდა თავშეყრის, ურთიერთობისა და გასართობი სივრცეების სიმწირე. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს რეკრეაციული სივრცეების განახლება და მოწყობა, შემეცნებითი სივრცეების შექმნა, შესაბამისი სერვისების დანერგვა/გაუმჯობესება და მრავალფეროვნების მაქსიმალურად გაზრდა, ყველასათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის პარალელურად. რაც შეეხება ბოლო, მეშვიდე მიოსალოდნელ შედეგს, ეს გულისხმობს ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის დონის გაზრდასა და ჭარბწონიანობის მაჩვენებლის შემცირებას.

მეოთხე მიზანია ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება, რომელიც შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-10 მიზნებს. რაც შეეხება მოსალოდნელ შედეგებს, პირველი გახლავთ ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონის მნიშვნელობის შემცირება. 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელია 12.7%. შესაბამისად, 15-19 წლისა და 20-24 წლის ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 26.6% და 30.8%-ს აღემატებოდა. იმისათვის, რომ ახალგაზრდები შრომის ბაზარზე უკეთ ინტეგრირდნენ, აუცილებელია მათი ხელშეწყობა განათლების მიღებიდან დასაქმების ეტაპზე. ასევე, მნიშვნელოვანია კარიერული კონუსლტირების სისტემისა და სამუშაო ადგილების პროგნოზირების დახვეწა. მეორე მოსალოდნელი შედეგი არის განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდების რაოდენობის შემცირება. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს მიეცეთ საშუალება ჰქონდეთ სასურველი და ღირსეული სამსახური. კერძო სექტორთან მჭირდრო თანამშრომლობით უნდა შემუშავდეს ალტერნატიული სერვისები იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებლად უნდა გაძლიერდეს კოორდინაცია ახალგაზრდების მეწარმეობის სფეროსა და დასაქმების კუთხით. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ახალგაზრდული მუშაკის ინტიტუტი განსაკუთრებულად დიდ როლს ასრულებს დასაქმების,

განათლებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდების რაოდენობის შემცირებაში.

რაც შეეხება მესამე მოსალოდნელ შედეგს, ამ პუნქტის თანახმად, უნდა შემცირდეს ახალგაზრდების დასაქმებასა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის კუთხით უთანაბრობა. კონკრეტულად, ამაში იგულისხმება სქესის მიხედვით დისბალანსის არსებობა, რაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. საქართველოში, 15-29 წლის ახალგაზრდებში სამუშაო ძალის მამაკაცთა წილია-65.4%, ხოლო ქსლთა-34.9%. მწვავე მდგომარეობაა რეგიონებშიც, ვინაიდან რეგიონებში ცხოვრობს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60%, ხოლო სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 30% არის დასაქმებული. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ იძულებით გადაადგილებული პირების მდგომაორებაც, ვინაიდან, ამ ჯგუფთან უმუშევრობის მაჩვენებელი შედარებით მაღალია. აღნიშული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების განახლება და მიზნობრივი დახმარების პროგრამების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებული იქნება, რომ წაახალისოს ახალგაზრდა ქალები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები, რათა მოხდეს მათი სამუშაო ძალაში ჩართვა, მობილობის გაზრდა და ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა.

მეოთხე მოსალოდნელი შედეგის თანახმად, შემცირდება ახალგაზრდების დასაქმებისა და სამუშაოზე მიღების არასათანადო პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა უმეტესობას არ გააჩნია წერილობითი კონტრაქტი დამსაქმებელთან. ხშირად, სტაჟირება არ არის ანაზღაურებადი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სამუშაოზე მიღების გზა ძირითადად არაფორმალურია. 2017 წლის კვლევის თახმად, საქართველოში კადრების აყვანის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს დამსაქმებელთა ნათესავები, მეგობრებ და ნაცნობები (44.9%). აუცილებელია დასაქმების სტრუქტურული გაუმჯობესება (თორნტონი & თურმანიძე, 2017).

რაც შეეხება ამ პუნქტის ბოლო, მეხუთე მოსალოდნელ შედეგს, იგი შეეხება ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონის ამაღლებას. მიუხედავად იმისა, რომ

მეწარმეობის ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, აღმოჩნდა, რომ გამონაკლისების გარდა, ეს პროგრამები არ ყოფილა ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული. საინტერესოა, რომ ფორმალური სამეწარმეო განათლება ფაქტორბივად არ არსებობს ან ძალიან არაეფექტურია. ქვეყანაში დაბალი პოპულარობით სარგბლობს სოფლის მეურნეობა, ასევე, რეგიონებში არ არის გრძელვადიანი პერსპექტივები და ეკონომიკური შესაძლებლობები/გართობის საშუალებები. გარდა მეწარმეობის პროგრამების ახალგაზრდებზე ორიენტირებისა, აუცილებელია ახალი, ინტეგრიგრირებული მიდგომისა და მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება. საჭიროა სამეწარმეო განათლების ხელშეწყობის გაძლიერება, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება, ინფორმირებულობის გაზრდა, ხელშემწყობი პროექტების ჩატარება და სხვა ღონისძიებების განხორციელება.

რაც შეეხება ბოლო, **მეხუთე მიზნს, ეს გახლავთ ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე წარმოებული ახალგაზრდული პოლიტიკის მტკიცებულებებზე და უფლებებზე დამფუძნებული მიდგომის დაფუძნება**. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შეფასებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების უდიდესი ნაწილი არ არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და აქედან გამომდინარე, ვერ პასუხობს ამ ჯგუფის რეალურ საჭიროებებს. პირველი მოსალოდნელი შედეგს წარმოადგენს წარმოებული ახალგაზრდული პოლიტიკის მტკიცებულებებზე და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შამუშავებას დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის განსავითარებლად სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია მეცნიერების ინტერდისციპლინური დარგის ახალგაზრდული კვლევის განვითარებისა და რეგულარულად ჩატარების ხელშეწყობა. შესაბამისად, პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს კვლევების შედეგებსა და სათანადო მონაცემებს. მეორე მოსალოდნელი შედეგია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის

განხორციელებისას უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა შეიქმნას მართვისა და კოორდინაციის მექანიზმები, რომელიც მიმართული იქნება დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი ჩართულობისკენ როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ/რეგიონულ დონეზე. რაც შეეხება მესამე მოსალოდნელ შედეგს, ეს გულისხმობს ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თანამონაწილეობითი კულტურის დამკვირდებას. და ბოლოს, მეოთხე მოსალოდნელი შედეგია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს პოლიტიკის მონიტორინგის სისტემა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მონიტორინგის ერთიანი ჩარჩო (საქართველოს პარლამენტი, 2020). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ სულ ახლახანს დაამტკიცა დადგენილება „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა“ და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ,“ რომელიც ითვალისწინებს 3 წელზე გათვალისწინებულ 5 სტრატეგიულ მიზანს. ეს მიზნები ფორმულირდება შემდეგნაირად :

- ახალგაზრდების პოტენციალის გამოვლენისა და მათი განვითარების ხელშეწყობა;
  ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება;
- ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება;
- ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ პროცესებში;
  ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება

ამ მიზნების მიღწევის ერთ-ერთ დამხმარე მექანიზმად გვევლინება ახალგაზდრობის სააგენტო, რომელიც გახლავთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სააგენტოს ფუნქციაა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის

სტრატეგიის შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია. სააგენტოში დასაქმებული ახალგაზრდული მუშაკები მიყვებიან სწორედ იმ გეგმას, რომელიც გაწერილია სახელმწიფო დოკუმენტში (საქართველოს პარლამენტი, 2019).

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ და ევროპულ ახალგაზრდულ სტრატეგიებს აქვთ საერთო მიდგომები და პრინციპები ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

- ფოკუსირება ახალგაზრდების გაძლიერებაზე: ორივე სტრატეგია მიზნად ისახავს ახალგაზრდების გაძლიერებას მათთვის შესაძლებლობების, მხარდაჭერისა და რესურსების მიწოდებით, რათა განავითარონ თავიანთი უნარები, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელი შეუწყონ თავიანთი ქვეყნების საერთო განვითარებას.
- განათლება და დასაქმება: სტრატეგიებში გაზგასმულია განათლებისა და ტრენინგების მნიშვნელობა ახალგაზრდების დასაქმების გაზრდისა და განათლებიდან შრომის ბაზარზე მათი გადასვლის გასაუმჯობესებლად.
- აქტიური მოქალაქეობა და მონაწილეობა: ორივე სტრატეგია ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მიმართულია ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისკენ და წაახალისებს ინდივიდებს, რათა მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რომელიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.
- სოციალური ინკლუზია და თანაბარი შესაძლებლობები: ორივე სტრატეგია პრიორიტეტს ანიჭებს სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობას ყველა ახალგაზრდისთვის, მიუხედავად მათი წარმომავლობის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა.
- საერთაშორისო თანამშრომლობა: ორივე სტრატეგია აღიარებს საერთაშორისო თანამშრომლობის, გაცვლითი პროგრამებისა და პარტნიორობის მნიშვნელობას ახალგაზრდების მობილურობის, კულტურათაშორისი დიალოგისა და ურთიერთგაგების გასაძლიერებლად.

რაც შეეხება განსხვავებებს, ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგია შემუშავებულია ევროკავშირის პოლიტიკისა და ინსტიტუტების ფარგლებში, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს პერსპექტივებს. იგი მოიცავს ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას, ფოკუსირებულია მთლიანად ევროპელი ახალგაზრდების კოლექტიურ საჭიროებებსა და გამოწვევებზე. ამის საპირისპიროდ, საქართველოს ახალგაზრდობის სტრატეგია კონკრეტულად ეხება საქართველოში ახალგაზრდების უნიკალურ საჭიროებებს/ პრიორიტეტებს და თავის მხრივ, ყალიბდება საქართველოს სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტით.

ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდების ძირითადი გამოწვევები

ევროპის საბჭოს ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ევოკავშირის წევრ ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდების გამოწვევები საკმაოდ მრავალფეროვანია **გარიყულობა**: დოკუმენტში ხაზგასმულია ახალგაზრდების წინაშე არსებული „უპრეცედენტო უმუშევრობის დონე და სოციალური გარიყულობისა და სიღარიბის რისკი.“ გლობალურმა რეცესიამა და ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალმა მაჩვენებლებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მათ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და სოციალურ ინტეგრაციაზე (Council of Europe, 2018). ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე მუდმივი გამოწვევაა ევროპის ბევრ ქვეყანაში. ევროსტატის უახლესი მონაცემებით, ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე დაახლოებით 15.4% იყო 2023 წლის აპრილში (Eurostat, 2023) .

ასევე, **სრულწლოვანების ასაკში გადასვლა:** ახალგაზრდები ევროპაში აწყდებიან გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ზრდასრულ ასაკში გადასვლასთან, მათ შორის მშობლების სახლიდან გასვლასთან, პარტნიორულ ურთიერთობებში შესვლასთან და შვილების გაჩენასთან. სოციალური ცვლილებები, საგანმანათლებლო ტრაექტორიები, შრომის ბაზრის სირთულეები, საცხოვრებლის

ხელმისაწვდომობის პრობლემა დასაოჯახო პროგრამების ნაკლებობა ხელს უწყობს ამ გამოწვევებს, რაც დაბრკოლებაა შრომის ბაზარზე შესვლისა და ინტეგრირებისთვის, შესაბამისად, გავლენას ახდენს მათ საცხოვრებელ პირობებსა და დამოუკიდებლობაზე.

ხაზგასმულია **საგანმანათლებლო და კარიერული შესაძლებლობების საკითხი:** შრომის ბაზარზე შესვლისა და ინტეგრაციის სირთულე, როგორც ახალგაზრდების მთავარი გამოწვევა. მნიშვნელოვანია განათლებისა და უნარების შეუსაბამობის საკითხი, რაც გულისხმობს დიდ განსხვავებას სწავლის პროცესში შეძენილ უნარებსა და სამუშაო ბაზრის მიერ მოთხოვნილ უნარებს შორის. ამ შეუსაბამობამ შეიძლება ახალგაზრდებს შეუქმნას სირთულეები შესაფერისი სამუშაოს პოვნაში

ასევე, **დასვენება და კულტურული მონაწილეობა**: მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი დრო იძლევა პიროვნული განვითარების, სოციალური ინკლუზიისა და საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობებს, მაინც აქტუალურია კულტურული აქტივობებისა და რესურსების ხელმისაწვდომობის უთანასწორობა. ფინანსურმა რესურსებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეიძლება შეზღუდოს მონაწილეობა და შექმნას უთანასწორობა ახალგაზრდებში (Council of Europe, 2018).

რაც შეეხება **სოციალურ უთანასწორობას:** სოციალური უთანასწორობა ქვეყნებში და მათ შორის გავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრების პირობებსა და შესაძლებლობებზე. ტექსტი ხაზს უსვამს სოციალური სტრუქტურის, სოციალური უთანასწორობის და ეფექტური ევროპული პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობას ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად (Council of Europe, 2018).

ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევაა **პოლიტიკის შემუშავება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:** ახალგაზრდები უნდა იყვნენ აღიარებული, როგორც მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც მათზე გავლენას ახდენს. მათი პერსპექტივები, წვლილი და ჩართულობა ხელს შეუწყობს იპოვნონ პასუხები მიმდინარე პრობლემებისთვის, მათ შორის კლიმატის ცვლილებისა და რესურსების

ამოწურვის ჩათვლით. პოლიტიკის შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ახალგაზრდების მრავალფეროვანი საჭიროებები და გამოცდილება. ეს გამოწვევები ხაზს უსვამს კომპლექსურ ურთიერთკავშირს სხვადასხვა ფაქტორებს შორის, მათ შორის დასაქმებას, განათლებას, საცხოვრებელს, სოციალურ ინკლუზიას და კულტურულ მონაწილეობას. ამ გამოწვევების მოგვარება მოითხოვს ყოვლისმომცველ და მრავალგანზომილებიან მიდგომებს, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სექტორსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას (Council of Europe, 2018). ახალგაზრდების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში და გადაწყვეტილების მიღებაში შეიძლება იყოს გამოწვევა. ბევრი ახალგაზრდა ევროპელი გრძნობს, რომ გათიშულია ტრადიციული პოლიტიკური სტრუქტურებისგან და მათი ხმა აღიქმება, როგორც მარგინალიზებული (European

ამას გარდა, მნიშვნელოვანია **ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები:** ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევები, როგორიცაა შფოთვა და დეპრესია, გავრცელებულია ევროპელ ახალგაზრდებში. ფაქტორები, როგორიცაა აკადემიური ზეწოლა, უმუშევრობა და სოციალური იზოლაცია ხელს უწყობს ამ საკითხებს (European

კოვიდ-19-ის გავლენა ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრებ ახალგაზრდებზე

რაც შეეხება კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენას ევროპელ ახალგაზრდებზე, ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდი (Eurofound) გვთავაზობს კვლევას აღნიშნულთან დაკავშირებით. კვლევის მთავარი მიგნებებია, რომ ევროკავშირში ახალგაზრდები არაპროპორციულად დაზარალდნენ COVID-19 კრიზისის დასაქმების, ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური გარიყულობის, გონებრივი კეთილდღეობისა და ინსტიტუტებისადმი ნდობის თვალსაზრისით. კვლევაში ხაზგასმულია, რომ პანდემიის დროს შეზღუდულმა ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდების ფსიქიკურ კეთილდღეობაზე. ანგარიშში ასევე მოცემულია წევრი სახელმწიფოების მთავრობების მიერ დანერგილი პოლიტიკის მიმოხილვა, რათა დაიცვან ახალგაზრდები პანდემიის ეკონომიკური ზემოქმედებისგან და იძლევა

